



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №07

2013 წლის 23 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 23 აპრილის №42 განკარგულებით დამტკიცებულ ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

შეტანილ იქნას ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 23 აპრილის №42 განკარგულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს წესდების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1 „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს სტრუქტურული ერთეულებია:

1. ადმინისტრაცია:

ა) „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს დირექტორი.

ბ) დირექტორის მოადგილე;

გ) ინჟინერი;

დ) ბუღალტერი;

2. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი;

ა) შემდუღებელი;

ბ) ზეინკალი;

გ) ინჟინერ-ტექნიკოსი;

დ) წყალსადენის მომვლელი;

ე) მძღოლი;

ვ) დარაჯი“.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (რ.კარალიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ბაგრატიონი

„6.1 „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს სტრუქტურული ერთეულებია:

3. ადმინისტრაცია:

ა) „ქობულეთის სოფლის წყალი“-ს დირექტორი.

ბ) დირექტორის მოადგილე;

გ) ინჟინერი;

დ) ბუღალტერი;

4. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი;

ა) შემდუღებელი;

ბ) ზეინკალი;

გ) ინჟინერ-ტექნიკოსი;

დ) წყალსადენის მომვლელი;

ე) მძღოლი;

ვ) დარაჯი;“.